www.xtrapapers.com

M12/1/A1GEO/SP1/GEO/TZ0/XX

22120111

International Baccalaureate®
Baccalauréat International
Bachillerato Internacional

GEORGIAN A1 – STANDARD LEVEL – PAPER 1
GÉORGIEN A1 – NIVEAU MOYEN – ÉPREUVE 1
GEORGIANO A1 – NIVEL MEDIO – PRUEBA 1

Thursday 10 May 2012 (morning)
Jeudi 10 mai 2012 (matin)
Jueves 10 de mayo de 2012 (mañana)

1 hour 30 minutes / 1 heure 30 minutes / 1 hora 30 minutos

INSTRUCTIONS TO CANDIDATES

- Do not open this examination paper until instructed to do so.
- Write a commentary on one passage only. It is not compulsory for you to respond directly to the guiding questions provided. However, you may use them if you wish.
- The maximum mark for this examination paper is *[25 marks]*.

INSTRUCTIONS DESTINÉES AUX CANDIDATS

- N'ouvrez pas cette épreuve avant d'y être autorisé(e).
- Rédigez un commentaire sur un seul des passages. Le commentaire ne doit pas nécessairement répondre aux questions d'orientation fournies. Vous pouvez toutefois les utiliser si vous le désirez.
- Le nombre maximum de points pour cette épreuve d'examen est *[25 points]*.

INSTRUCCIONES PARA LOS ALUMNOS

- No abra esta prueba hasta que se lo autoricen.
- Escriba un comentario sobre un solo fragmento. No es obligatorio responder directamente a las preguntas que se ofrecen a modo de guía. Sin embargo, puede usarlas si lo desea.
- La puntuación máxima para esta prueba de examen es *[25 puntos]*.

© International Baccalaureate Organization 2012

www.xtrapapers.com

*დაწერეთ **ერთ-ერთი** ტექსტის კომენტარი:*

1.

ერთხელ ესე დაღონებული აქეთ ტახტზედ გულდაღმა იწვა ლუარსაბი, იქით ტახტზედ კიდევ კნეინა დარეჯანი წინდასა ჰქსოვდა. ძალიან ცუდს გუნებაზედ იყო. ხმაგაკმენდილი ჭერს გაუშტერა თვალი და ჰფიქრობდა, იმაზედ ჰფიქრობდა, როგორ მოახერხოს, რომ შვილი გაუჩნდეს. – „განა შვილი იმისათვის
5 მინდა, რომ მართლა შვილი მყვანდეს? – ამბობდა თავისთავად, – შენც არ მამიკვდე! დავითის გამოჯავრებით მინდა, ის არ მინდა ჩემს მამულებზედ გავახარო. იმისი ჯავრი არ მინდა შევირჩინო, თორემ ეს ჯავრი რომ არ იყოს, ძალიანაც არ ვინაღვლიდი, რომ შვილი არა მყავს. ცოტანი არიან უშვილონი განა? მეც იმათში ვიქნებოდი. დავითი არ მინდა გავახარო, დავითი!“

10 ეს რომა სთქვა თავის-თავად, გადმობრუნდა დარეჯანისაკენ დაღონებული და მწუხარე ხმით უთხრა:

– ეხლა დავითს უნდა შერჩეს ის სიტყვები!.. უნდა ჩვენს მამულ-დედულზედ გავახაროთ!.. დარეჯან! შენი ჭირიმე, თუ გიყვარდე, თუ გიყვარდე, აი! ერთი ვაჟიშვილი ჰშობე, დავითის გამოჯავრებით მაინც ჰშობე, რომ სხვა
15 არა იყოს-რა. ოღონდ იმისი ჯავრი კი ამომაყრევინე და მერე თუნდ მამკალ. შენი ჭირიმე, შენი დედაკაცობის ჭირიმე! თუ გიყვარდე, აი!

– ვშობამ, შენ ნუ მოუკვდები ჩემს თავს, ვშობამ, თუ აგრეა! – უპასუხა კნეინამ ისე, ასე გგონია მართლა ამის ხელში იყოს შვილის შობა. – წუხელის სიზმარში ერთმა მოხუცებულმა კაცმა – ფეხებამდინ უმტვერო ქაღალდივით წვერი
20 ჰქონდა – ერთი წამალი დამალევინა და მითხრა: გამრავლდი, ვითარცა იაკობო! მე მაშინვე მუხლზედ ვემთხვიე, შენ მაგიერადაც ვემთხვიე.

– მართლა? – წამოიძახა იმედმოცემულმა ლუარსაბმა, – ისე თვალითა ნახე?

– აი, როგორც შენა გხედავ.

– შენი ჭირიმე!.. მაშ იმედია, დარეჯან-ჯან!

25 – მაშ ქა!

– ჰო, შენ გეთაყვანე, შენა! – დაიჯერა და გაიღიმა ლუარსაბმა, – როგორ გითხრა?

– გამრავლდიო, ვითარცა იაკობ.

– იაკობი ვინ იყო?

30 დარეჯანმა არ იცოდა, ვინ იყო. ისე კი გაეგო, მგონი – წირვა-ლოცვაზედ, იაკობის სახელი, და ვინ იყო, რა იყო, როდის იყო – ამაების არა იცოდა-რა. მაგრამ არცოდნა ითაკილა, ისევ რაღაცა მოჭორება ირჩივა „არ ვიცის“ თქმასა, როგორც ამგვარ შემთხვევაში ყველა ქართველმა იცის ხოლმე.

– ვინ იყო? – იკითხა დარეჯანმა – წირვა-ლოცვაზედ მაინც არ გაგიგია?..
35 აბრაამის მძახლის განაყოფის შვილი იყო.

– ეხლა, გამრავლდიო, ვითარცა იაკობ, მითამ რაო?

– მითამ ისაო, რომ გამრავლდიო, – აუხსნა დარეჯანმა.

– აი, ვენაცვალე იმის ენას! მაშ იმედია?

– კიდევ! ნუ იცი შენ ეგ, ნუ! ნუ ხარ უჯერო, ცოდვაა.

40 – აღარ ვიქნები, აღარ, ოღონდ შენ შვილი ჰშობე, თუნდა ენასაც მოვიკვნეტ, ოღონდ კი დავითს ნუ გაახარებ.

www.xtrapapers.com

– ღმერთია მოწყალე! გეუბნები, არ გავახარებ-მეთქი.

– ახ, ნეტავი კი მართლა ჰშობო და.

– კიდევ! ნუ ხარ უჯიათი, წმინდა კაცის სიტყვაზედ როგორ ხარ უჯერო, 45 რა დაგემართა?!

– აი, დალახვრა ღმერთმა! ჩემ-თავად გულში უნდა მეთქვა – ღმერთმან იცის – და აკი კიდევ წამომცდა. ახ, ნეტ…

– კიდევ!

– ფუი, დალახვრა ღმერთმა! კინაღამ კიდევ არ წამცდა!.. ეხლა, მეტად რომ 50 მინდა, იმიტომ, თორემ… ეჰ, გადავბრუნდები, დავიძინებ, თორემ, მე რომ ვიცი ჩემის ენის ამბავი, ერთს კიდევ წამომარეშვინებს რასმეს და ღმერთი მიწყენს.

– თელეთისა არ იყოს! იმდენი ამუნათე, იმდენი იძახე – შორს არისო, რომ გაგვიწყრა და, აი, დღესაც შვილი არა გვყავს.

– მერე აკი მაშინვე შევეხვეწე, ნუ გაჯავრდები-მეთქი. რატომ არ მაპატივა! 55 რა ვუყოთ, რომ „შორს არის“-მეთქი ერთხელ წამომცდა? ერთი ალილო მღვდელსაც შესცდებაო.

– კარგი, კარგი! რაც იყო, იყო; ეხლა მაინც არ აწყენინო.

– მაშ დავიძინებ.

– შენი ნებაა.

60 ლუარსაბი გადატრიალდა და პატარა ხანს უკან მადლიანი თავისებური ხვრინვა ამოუშვა.

ილია ჭავჭავაძე, *„კაცია-ადამიანი?!“* (1863)

– იმსჯელეთ, რა მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს იყენებს ავტორი ლუარსაბის სახის წარმოსაჩენად.

– იმსჯელეთ, როგორ იხატება დარეჯანის სახე ამ ეპიზოდში.

– იმსჯელეთ, რა არის ამ ტექსტში დრამატული, კომიკური ან ტრაგიკული და რა განაპირობებს ასეთ ვითარებას.

www.xtrapapers.com

2.

გრძელია ჟამი, ღვდელმსახურობს
რაც ჩემი გვარი.
ვინ დათვლის წირვას, რაოდენი
გამოიყვანეს.
ახლაც ეზოს წინ დაღვრემილი
მოსჩანს საყდარი,
ეს გერბი არის, ამაყ მგოსანს
რომ დამიხატეს.
ლოცულობს მამა მწუხრის ლოცვას,
მუნჯად ვუცქერი,
ფსალმუნი სულში შეფრინდება
და იმარხება.
შავ ანაფორას მეწამული
გადაჰკრავს ფერი
და ვხვდები ახლა, თუ ქალდეა
რად მენატრება.
ყვითელ სანთელზე მელანდება
მე მზე ბრწყინვალე,
მზის სადიდებლად აზიდული
დიდი ტაძარი.
ზვიად ქვის სვეტებს თითქო ადნობს
ჰანგი მხურვალე
და მღერის მაგი, ვინც რომ ჩემი
დაიწყო გვარი.
ასე ადიდა წინაპარმა
ასტარტა მწველი,
ღვთისმშობლის ქება ახლა მამის
ასველებს წვერებს.
არ დალეულა ჩვენს მოდგმაში
ჯერე მლოცველი,
გადახდილ წირვის დათვლა თვითონ
ღმერთს დააბერებს.
წინაპართ ჩრდილნო, გულს არ დაგწყვეტთ
ჩამომავალზე,
მე მაბეზღებენ, რომ მხედავენ
აქამდისინ მშვიდს.
და თუ ვეღარ ვთქვი ლიტურგია
მე თავის თავზე,
ქვეყანას მაინც გადავუხდი
ერთხელ პანაშვიდს...

ტიციან ტაბიძე, *„მაგი წინაპარი“* (1916)

www.xtrapapers.com

– იმსჯელეთ, როგორ იყენებს ავტორი მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს მამის სახის დასახატავად.

– იმსჯელეთ, როგორ გამოხატავს ავტორი რწმენის ტრაგედიას.

– გააანალიზეთ, რა მხატვრული ფუნქცია ეკისრება სიმბოლოებს ამ ლექსში.